

"**ოქრუაშვიდი პოლიტიკატიმარია, მას ციხიდან აუცილებლად გამოვიყვანო**"

✘ „ნაციონალური მოძრაობის“ ოპოზიციური გაერთიანების დიდერი გრიგორ ვაშიაძე თავდაცვის ყოფილი მინისტრის დაკავებას პოლიტიკური რეპრესიების დაწყების მაგალითად აფასებს.

პოლიტიკოსმა ირაკლი ოქრუაშვიდის პარტიის ოფისში ოპოზიციის სხვა დიდებულთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ „სურ უფრო იმატებს პოლიტიკატიმართა რიცხვი და ერთ-ერთი მათგანი გახდა „გამარჯვებული საქართველოს“ და ოპოზიციის ერთ-ერთი დიდერი ირაკლი ოქრუაშვიდი“.

„სალამოს ვიყავი რუსთაველის გამზირზე და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ არავითარი კონსურტაციები სახელმწიფო გადატრიალების მიზნით არ დაუგეგმავს და არ მიუღია მონაწილეობა. იცავდა კონსტიტუციურ უფლებებს, მოქალაქეების და ჩვენი სახელმწიფოს ღირსებას. აუცილებლად გამოვიყვანო ციხიდან და არ მივცემთ საშუალებას ხედისუფლებას, რომ დაატეროროს ოპოზიცია“, – განაცხადა გრიგორ ვაშიაძემ.

პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ დიდერი ირაკლი ოქრუაშვიდი ჯგუფური ძადადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ბრადლებით გუშინ, 25 ივლისს დააკავეს.

დიდ ბრიტანეთს ახადი მინისტრთა

კაბინეტი ჰყავს



დიდი ბრიტანეთის ახლარჩეულმა პრემიერმინისტრმა ბორის ჯონსონმა მინისტრთა ახალი კაბინეტი წარადგინა. მთავარი პოსტები ევროსკეპტიკოსებმა მიიღეს.

ქვეყნის საგარეო საქმეთა ექსმინისტრი საჯიდ ჯავადი ფინანსთა მინისტრი იქნება. Brexit-ის საკითხებში ყოფილი მინისტრი დომინიკ რაბი საგარეო უწყებას უხედმძღვანელებს, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე კი ჯონსონმა პრიტი პატერი წარადგინა. თავდაცვის მინისტრი ბენ ვოდასი იქნება.

დონდონის ყოფილი მერმა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრმა ბორის ჯონსონმა პრემიერის თანამდებობაზე ტერეზა მეი შეცვალა.

23 ივლისს კონსერვატიული პარტიის წევრებმა არჩევანი ბორის ჯონსონსა და ჯერემი ჰანტს შორის გააკეთეს. ჯონსონის პოზიციას, რომ ბრიტანეთმა ევროკავშირი 31 ოქტომბრამდე დატოვოს.

დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრის თქმით, ევროკავშირის დატოვების არჩევანი იყო ბრიტანელი ხალხის ფუნდამენტური გადაწყვეტილება. მისი განცხადებით, მას სურს, ევროკავშირიდან შეთანხმების გარეშე გასვლა, თუმცა კვლავ მზად არის ხისტი ბრექსიტისთვის.

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შეგვიძლია მივალწიოთ შეთანხმებას ირდანიდურ საზღვარზე საკონტროლო პუნქტების გარეშე“, – განაცხადა ბორის ჯონსონმა.

თუმცა მისი თქმით, დონდონი უნდა იყოს მზად ბრიუსელთან მოლაპარაკებების ხელახლა წარმოებაზე.

„ღიახ, იქნება სირთუღეები, თუმცა ის, რამაც ყვეღაზე მეტად დააზარაღა ბიზნესის ნღობა, არის არა ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტიღეები, არამედ გადაწყვეტიღებების მიღებაზე უარის თქმა“, – განაცხადა ჯონსონმა.

Brexit-ის მოწინააღმღეღეებს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა ყოფიღი მინისტრის ბორის ჯონსონის პრემიერობა არ სურღათ. ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი ფიღიპ ჰამონდი აცხადებღა, რომ ბორის ჯონსონის პრემიერობის შემთხვევაში თანამღებობას დატოვებღა.

ჩინეთში კორუპციის გამო 250 000–ზე მეტი ჩინოსანი დასაჯეს



2019 წღის პირვეღ ნახევარში ჩინეთში კორუპციისა და დისციპღინის დარღვევის გამო 254 ათასი ჩინოსანი დასაჯეს, მათ შორის მაღარჩინოსნებიც იყვნენ.

ჩინეთის ხეღისუფღების აზრით, კორუპცია ქვეყნის განვითარების გზაზე ყვეღაზე მთავარი წინაღობეა, ამიტომ ამგვარ სამართადღარღვევებს აქტიურად ებრძვიან. ოფიციადღურ პეკინში მიაჩნიათ, რომ მკაცრი ზომები სიღარიბის დაღღევასა და საშუადღო ფენის ფორმირებას შეუწყობს ხეღს.

ანგარიშიის თანახმად, ბოღო ექვსი თვის განმავღობაში

მაკონტროლებელ ორგანოებში 1,6 მილიონი საჩივარი შევიდა, სამართადრამცავებმა 168 ათასზე მეტი გაფრთხილება გასცეს და 351 ათასზე მეტი საქმე აღძრეს.

რაც შეეხება გასულ წელს, კორუპციის ბრადღებით 620 ათასი ადამიანი დაისაჯა, აქედან 50 – სხვადასხვა სამინისტროს მაღარჩინოსანი.

კორუპციასთან აქტიური ბრძოლა ჩინეთში სი ძინპინის სათავეში მოსვლისთანავე დაიწყო – მისი მმართველობის დროს კორუპციისთვის 1,5 მილიონი ჩინოსანი დაისაჯა.

anticorr.media

ხაჯიმბა "პრეზიდენტობის" კანდიდატად დარეგისტრირდა



აფხაზეთის დე-ფაქტო დიდერი რაურ ხაჯიმბა მომავალ "საპრეზიდენტო არჩევნებში" კენჭისყრას აპირებს. მან უკვე გაიარა შესაბამისი რეგისტრაცია.

არჩევნები 2019 წლის 25 აგვისტოს ჩატარდება. "პრეზიდენტის" პოსტზე სურ 10 კანდიდატია დარეგისტრირებული, მათ შორის ყოფილი ვიცე-პრემიერი შამილ აძინბა, თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ოდგე არშბა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი დეონიდ ძაპშბა.

თავდაპირველად არჩევნები 21 ივლისზე იყო ჩანიშნული, თუმცა 20–21 მაისს ოპოზიციამ საპროტესტო აქციები ჩაატარა მოთხოვნით გადაედოთ ერთი თვით არჩევნები მათი დიდერის, ასღან ბჟანიის ჰოსპიტალიზაციის გამო.

inforeactor.ru

მესამე ქვეითი ბრიგადის ნაკრები ასეური ავღანეთში ჩავიდა



საქართველს თავდაცვის ძალების III ქვეითი ბრიგადის ნაკრები ასეურის პირადი შემადგენლობა ავღანეთში, ქაღაქ მაზარ-ი-შარიფთან არსებულ სამხედრო ბაზა „მარმარზე“ უკვე ჩავიდა.

ასეურის პირად შემადგენლობას სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე ავღანეთში თავდაცვის ძალების უფროსი სამხედრო წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ბაქარია კადანდაძე, სამხედრო წარმომადგენლობის სერჟანტი, მთავარი სერჟანტი გიორგი გოგოჭური და პირველი ქვეითი ბრიგადის ნაკრები ასეურის მეთაური მაიორი ნიკოლოზ ვაშაყმაძე დახვდნენ.

III ქვეითი ბრიგადის ასეური ბაზა „მარმარზე“ დისლოცირებული პირველი ქვეითი ბრიგადის ასეურისგან რამდენიმე დღეში უფრებამოსიღებას ოფიციალურად გადაიბარებს და „მტკიცე

მხარდაჭერის“ მისიაში ჩაერთვება.

III ქვეითი ბრიგადის ნაკრები ასეური კაპიტან რევან ენდერაძის მეთაურობით, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიას შვიდი თვის განმავლობაში მამარ-ი-შარიფში, ბაზა „მარმარზე“ გერმანული სარდლობის დაქვემდებარებაში შეასრულებს. ქართველი მშვიდობისმყოფელების მთავარი ამოცანა ბაზის უსაფრთხოების დაცვა და სწრაფი რეაგირების ამოცანების შესრულება იქნება.

ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში გამგზავრებამდე ქვედანაყოფმა სამთვლიანი სწავლება საქართველოში, ხოლო ხუთთვლიანი საბრძოლო მომზადება გერმანიაში გაიარა და უმაღლესი შეფასება მიიღო.

"ვაზაგაშვილის საქმე სტრასბურგის სასამართლოში სახედმწიფოს მარცხით დასრულდა"



საქართველოს იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ვაზაგაშვილის საქმე სტრასბურგის სასამართლოში დასრულდა სახედმწიფოს სრული მარცხით,

„გამოქვეყნდა გადაწყვეტილება საქმეზე ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც სიცოცხლის უფლებას ეხებოდა და ეს საქმე სრულად დასრულდა სახედმწიფოს მარცხით. როგორც მკვდრების ნაწილში, ასევე ამ საქმის არაეფექტურად და

გაჭიანურებულ ვადებში გამოძიების გამო და ოჯახის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 50 000 ევროს კომპენსაციის სახით გადახდა“, – აღნიშნა თეა წურუკიანმა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ასევე ისაუბრა ნოდარ გოგარაძის საქმეზე, რომელზეც გადაწყვეტილება ასევე დღეს გამოქვეყნდა.

„მესამე საქმეზე, რომელიც 2008 წელს მომხდარი არასათანადო მოპყრობის ფაქტებს ეხებოდა, ასევე დასრულებულია სახელმწიფოს მარცხით და მომჩივნის სასარგებლოდ დადგინდა წამებისა და არაადამიანიური მოპყრობის აკრძარვის მუხრის, მესამე მუხრის დარღვევა“, – განაცხადა თეა წურუკიანმა.

სტრასბურგის სასამართლომ დღეს საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ სამ საქმეზე გამოაცხადა გადაწყვეტილება, მათ შორის 2006 წელს კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაღუპული ბურაბ ვაზაგაშვილისა და 2008 წელს დაკავებული ნოდარ გოგარაძის საქმეებზე.

სტრასბურგის სასამართლომ ვაზაგაშვილის საქმეზე სახელმწიფოს 50 000 ევროს გადახდა დააკისრა. რაც შეეხება 2008 წელს დაკავებული ნოდარ გოგარაძის საქმეს, საქართველოს სახელმწიფოს 6 000 ევროს კომპენსაცია დაეკისრა.

სტრასბურგის სასამართლო
„რუსთავის 2“-ის საქმეზე
გადაწყვეტილება გამოაცხადა



სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ „რუსთავის 2“-ის საქმეზე გადაწყვეტილება გამოაცხადა. სტრასბურგის სასამართლოს განცხადებით, „რუსთავი 2“-თან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არც ერთი მუხლი არ დარღვევულა, მათ შორის არც სამართლიანი სასამართლოს უფლება.

სტრასბურგის სასამართლომ გააუქმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შემაჩერებელი მექანიზმი. კერძოდ, 2017 წლის 2 მარტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ტერეკომპანია „რუსთავი 2“ ქიბარ ხარვაშს მიაკუთვნა. იმავე წლის 3 მარტს კი, „რუსთავი 2“-ის მიმართვის საფუძველზე, სტრასბურგის სასამართლომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა. სწორედ ამ აღსრულების შეჩერება გააუქმა დღეს სტრასბურგის სასამართლომ.

მხარეებს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების დიდ პალატაში გასაჩივრებისთვის სამთვიანი ვადა აქვთ. თუ გადაწყვეტილება აღნიშნულ ვადაში არ გასაჩივრდა, სამი თვის შემდეგ ის ძალაში შევა.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ოფიციალური განცხადება საქართველოს იუსტიციის სამინისტრომაც [გაავრცელა](#).

„რუსთავი 2“ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 4 მუხლით დავობდა, მათ შორის სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის გამო.

2017 წლის 2 მარტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ტერეკომპანია „რუსთავი 2“ ქიბარ ხარვაშს მიაკუთვნა. იმავე წლის 3 მარტს, „რუსთავი 2“-ის მიმართვის საფუძველზე, სტრასბურგის სასამართლომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა.

ტერეკომპანია „რუსთავი 2“-ის წილებზე სამართლებრივი დავა რამდენიმე წერი მიმდინარეობდა. წილის სამართლებრივი გზით დაბრუნებას ბიზნესმენი ქიბარ ხადვაში ცდილობდა. ამავდროულად, „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით პრეტენზიას თავდაპირველი დამფუძნებლები – ჯარჯი აქიმიძე და დავით დვარიც აცხადებენ. მათი თქმით, ვარდების რევოლუციის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ დიდებულმა წილები ძალით დაათმობინეს.

სამართლებრივი დავა აქტიურ ფაზაში „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შევიდა. „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი და არხის წარმომადგენლები, რომლებიც არ მარავენ, რომ არხის სარედაქციო პოლიტიკა თანხვედრაშია „ნაციონალური მოძრაობის“ ღირებულებებთან და ეფუძნება მმართველი გუნდის მკაცრ კრიტიკას, აცხადებენ, რომ ხელისუფლება ცდილობს „რუსთავი 2“-ის გაჩუმებას და აპირებს ტერეკომპანიის ხელში ჩაგდებას, ხადვაშის გამოყენებით. მთავრობა ბრადლებს უარყოფს და აცხადებს, რომ „რუსთავი 2“-ის მენეჯმენტი სამართლებრივი დავის პოლიტიკურ ჭრილში წარმოჩენას ცდილობს.

თურქეთი ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემებს რუსეთთან ერთად აწარმოებს?



თურქეთს ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემების რუსეთთან ერთად წარმოება სურს.

„ახლა ჩვენს მიზანს რუსეთთან ერთობრივი წარმოება წარმოადგენს. ჩვენ ამას გავაკეთებთ. ჩვენ კიდევ უფრო შორს წავაღო“, – განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ანკარაში პოლიციის ახალი შენობის გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას.

თურქეთში რუსეთისგან შეძენილი „ეს-400“-ის სისტემების განთავსება 12 ივლისს დაიწყო. ერდოღანმა განაცხადა, რომ რუსეთისგან შეძენილი ანტისარაკეტო სისტემების თურქეთში ჩატანა 2020 წლის აპრილისთვის უნდა დასრულდეს.

თურქეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო დღეებში ანკარაში ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემებით ცხრა თვითმფრინავი ჩაფრინდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ანკარის მიერ რუსული ანტისარაკეტო სისტემების შეძენის გამო თურქეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას არ გამორიცხავენ.

"ოსი ეღჩების მისიას სანქტ–პეტერბურგში 270 წელი უსრუდდება, საქართველოს ნაწიდი არ ვიქნებით"



ოკუპირებული ცხინვარის
დე-ფაქტო მთავრობის
განცხადებით, ე.წ. სამხრეთ
ოსეთი საქართველოს
შემადგენლობაში აღარასდროს
დაბრუნდება.

ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის დიმიტრი მედლოვემის თქმით ,
ბოლოდროინდელი მოვლენებმა საქართველოში მათ დაანახა, რომ
საბჭოთა ხარხისთვის „მზიური საქართველო“ აღარ არსებობს.

*“ის 1990 წელს დამთავრდა, როდესაც ხელისუფლებაში ახალი ქართველი
ნაციონალისტები მივიდნენ. სტერეოტიპი, სახელწოდებით “მზიური
საქართველო”, რომელსაც საბჭოთა კავშირის და ბოლო წლებში რუსეთის
მოქალაქეებიც იყენებდნენ, გაქრა. ნიღბები ჩამოხსნილია. ქართული
სტუმართმოყვარეობის მითიც, რომელიც საბჭოთა კინემატოგრაფმა
შექმნა, დამსხვრეულია. სკეპტიკოსებისთვისაც კი საბოლოოდ გახდა
ნათელი, რომ სამხრეთ ოსეთი აღარასდროს იქნება საქართველოს
ნაწიდი. ნაციონალისტებისა და ჩვენი გზები გაყრილია”, – აღნიშნა
მედლოვემა [რუსულ საინფორმაციო სააგენტოსთვის](#) მიცემულ ინტერვიუში.*

მედლოვემის თქმით, რუსეთთან კავშირი ოსი ხარხის ისტორიული
არჩევანია და ამ არჩევანს ღრმა იატორიული ფესვები გააჩნია.

“წელს ოსი ეღჩების პირველ მისიას სანქტ–პეტერბურგში 270 წელი

უსრუდდება, მუსტად მაშინ დაელო საფუძველი რუსურ-ოსურ ურთიერთობას.”– აღნიშნა დიმიტრი მელოვმა.

საქართველოს საპატრიარქო რუსეთის პრეზიდენტის განცხადებაზე რეაგირებას იხილვს



საქართველოს საპატრიარქო აფხაზეთთან და ე.წ. „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას აფასებს.

საპატრიარქოში მიაჩნიათ, რომ პუტინის ეს განცხადება ერთგვარ გამონწვევად უნდა იქცეს საქართველოს სახელმწიფოს, ქართველი მეცნიერებისა და თითოეული მოქარაქისთვის და მოხდეს სწრაფი რეაგირება.

„9 ივლისს რუსეთის პრეზიდენტის, ბატონ ვლადიმერ პუტინის მიერ აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით არც თუ ისე შორეული წარსულის არასწორმა ინტერპრეტაციამ ჩვენს ხაღხში მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ამგვარი დამახინჯება ისტორიული ფაქტებისა, არსებული კონფლიქტების გაღრმავებას უწყობს ხელს.“

ამ პროცესში კი ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება. ასევე, აუცილებელია დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიები პრობლემურ საკითხებზე. საქართველოს საპატრიარქო მზად არის, ისტორიულ რეალობებზე მსჯელობისათვის კონფერენციებისა და შეხვედრების მოწყობაში ყველა მხარეს შეუწყოს ხელი“, – აღნიშნულია [განცხადებაში](#).

შეგახსენებთ, 9 ივლისს რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 1918 წელს საქართველმ გერმანიის ჯარის დახმარებით მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია, 1919-1920 წლებში კი ქართული ჯარი უფრო სასტიკად იქცეოდა ოსეთში.
